| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ხეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა. ხეების გადაბელვა და შეთეთრება, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი. ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები. 1. სოფელ სართიჭალში რამდენიმე ლოკაციიდან გატანილ იქნა სპეც ტექნიკის (თვითმცლელისა და ტრაქტორის საშუალებით) სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები. 2. ქ. გარდაბანში დ.აღმაშენებლის ქუჩაზე (ეკლესიასთან) აღმართული დროშის მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგდა. 3. ახალ კუმისში უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული შიდა გზები, რომელიც მოიხრეშა, ქ. გარდაბნიდან გზის მშენებლობის პროცესში აღებული ბეტონის ნაფრეზით 200 მ3 და 40 მ3 შერეული ქვიშით, აგრეთვე ამოვსებული სარწყავი არხების გაიწმინდა. 4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში თვითნებურად წარმოქმნილი სტიქიური ნაგავსაყრელებიდან გატანილ იქნა სპეც ტექნიკის (თვითმცლელისა და ექსკავატორის) საშუალებით ნარჩენები. 5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში რამდენიმე ლოკაციიდან, მათ შორის სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიიდან გატანილ იქნა 200 მ3 სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები სპეც ტექნიკის (თვითმცლელისა და ექსკავატორის) საშუალებით. 6. ქ. გარდაბანში ლელამხას დასახლებაში ახლად მოწყობილ სკვერში საჭიროა მწვანე ნარგავების მოსარწყავად შესყიდულ იქნა 50 გ.მ. რეზინის მილის (3/4). 7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკების მოვლა პატრონობა, კერძოდ: გათიბვა, გადაბელვა, გამხმარი ხეების მოჭრა, მწვანე ნარგავების გაკირვა. 8. შესყიდულ იქნა მწვანე ნარგავები (30 ძირი პავლონიას ნერგის, 23 ძირი კიპაროსის ნერგისა და 18 ძირი ცაცხვის ნერგი) | | |

| | |
|---|---|
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 11 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა. |

“

მ) დანართის მეთხუთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 15 განათლება**

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **15,192.6 ათასი** ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

**ათასი ლარი**

**ათასი ლარი**

| ორგ. კოდი | დასახელება | 2025 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **04 00** | **განათლება** | **15192.6** |
| **04 01** | **სკოლამდელი განათლება** | **13895.0** |
| 04 01 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 13895.0 |
| **04 02** | **დაწყებითი ზოგადი განათლება** | **1297.6** |
| 04 02 01 | საჯარო სკოლების რეაბილიტაცია | 537.0 |
| 04 02 02 | საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება | 719.4 |
| 04 02 03 | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ხელშეწყობა | 41.2 |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 01 01 | | | 13895.0 |

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება** |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 34 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. 2025 წლისთვის იგეგმება ორი ბაგა-ბაღის გახსნა. არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესს გადის 3034 -ი ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 722 პერსონალი. აქედან სააღმზრდელო ადმინისტრაციაში -29. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით იქმნება თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის. ამასთან, ხელს უწყობს 2-დან 6 წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისათვის. |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 4 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები. შედეგი: მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის სფეროს თანაბარი ხელმისაწვდომობა 2-დან 6 წლამდე |

| | |
|---|---|
| | ბავშვებისთვის და ხელშეწყობილის სკოლის ასაკს. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 02 02 | | | 719.4 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების ქვეპროგრამის ფარგლებში - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლებიდან 3000 მდე მოსწავლის ტრანსპორტირებას, 2 ან 3 მჭიდროდ დასახლებულ პუნქტზე ხშირ შემთხვევაში მოდის ერთი საჯარო სკოლა, რის გამოც მოსწავლეებს სკოლამდე მისასვლელად უხდებათ დიდი მანძილის გავლა, ასევე, მაღალმთიანი და რთული გეოგრაფიული მდებარეობის სოფლები, რომლებშიც ფიზიკურად არ არის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 4 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობის გაზრდა საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის. გაიზრდება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხარისხი და რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მოსწავლეები მიიღებენ სახელმწიფო დახმარებას, რაც ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების უფრო ხარისხიან მიღებას. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ხელშეწყობა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 02 03 | | | 41.2 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | მოტივაციის ამაღლების მიზნით ამოქმედდა წარჩინებულ მოსწავლეთა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების პროგრამა, რომლის მიზანი აკადემიური მოსწრების სტიმულირება და წარჩინებული მოსწავლეების გამოვლენაა. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 4 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ქვეპროგრამის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება, წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. | | |

“

ნ) დანართის მეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
**„მუხლი 16 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **9,577.4 ათასი** ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

**ათასი ლარი**

| ორგ. კოდი | დასახელება | 2025 წლის პროექტი |
|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **9577.4** |
| **05 01** | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **6073.4** |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 318.0 |
| 05 01 02 | სპორტული სკოლების ხელშეწყობა | 3312.4 |
| 05 01 03 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | 2323.0 |
| 05 01 04 | წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები | 120.0 |
| **05 02** | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **3423.0** |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 266.7 |
| 05 02 02 | ტელევიზიის დაფინანსება | 50.0 |
| 05 02 03 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა | 448.5 |
| 05 02 04 | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა | 362.1 |
| 05 02 05 | კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა | 1060.7 |
| 05 02 06 | მუზეუმების ხელშეწყობა | 320.0 |
| **05 02 07** | მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა | 295.0 |
| **05 02 08** | მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა | 241.2 |
| 05 02 09 | კულტურის ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | 378.8 |
| **05 03** | **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება** | **81.0** |
| 05 03 01 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 81.0 |

| კოდი | ქვეპროგრამის | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| 05 01 01 | **დასახელება** **სპორტული ღონისძიებების დაფინანსება** | 318.0 |

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახური** |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | გარდაბნის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. სწორედ ამისთვის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახური ახორციელებს შემდეგ სპორტულ ღონისძიებებს: „აპარნობა“; „თელეთობა“; "კრწანისობა"; „ლევან დევდარიანის სახელობის ტურნირი ფრენბურთში და ფეხბურთში“; „ამირან გაჩეჩილაძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში“; "ღვთაებობა"; „სპორტის კვირეული“; "სასკოლო ლიგა"; "ფეინთბოლი" და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა. |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 3, SDG 11 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია: -ქვეყნის შიდა ტურიზმის გაზრდა;<br>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;<br>- მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში;<br>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.<br>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ღონისძიენბებში ჩართულ მონაწილეთა გაზრდილი რაოდენობა. |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **სპორტული სკოლების ხელშეწყობა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 05 01 02 | | | 3312.4 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მიზანია ახალგაზრდა თაობის სპორტული აღზრდა, ცენტრში რეგისტრირებულ სპორტსმენთა ხელშეწყობა და განვითარება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ფულადი სუბსიდიები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამებისთვის. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს 12 სპორტული დარბაზი, 10 სპორტული მოედანი (ოთხი ბუნებრივი საფარის მოედანი და ექვსი ხელოვნური საფარის მინი მოედანი) და რამოდენიმე საჯარო სკოლის დარბაზი. აღნიშნულ ობიექტებზე დასაქმებულია 92 მწვრთნელი. ცენტრში ფუნქციონირებს სპორტის 12 სახეობა, ეს სახეობებია: ძიუდო– 7 ჯგუფი; ბერძნულ–რომაული– 4 ჯგუფი; კრივი– 5 ჯგუფი; თავისუფალი– 6 ჯგუფი; კალათბურთი– 2 ჯგუფი; ჯიუ–ჯიცუ– 1 ჯგუფი; ფარიკაობა– 1 ჯგუფი; რაგბი– 2 ჯგუფი; მკლავჭიდი– 1 ჯგუფი; კიკბოქსინგი– 2 ჯგუფი; კიო–კუშინ–კარატე– 1 ჯგუფი; ფეხბურთი– 12 ჯგუფი. სულ 44 ჯგუფი და 1047 სპორტსმენი. მუნიციპალიტეტი სპორტული ცენტრის მეშვეობით ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს, ასევე ახორციელებს სპორტსმენების დაჯილდოვებას, აგრეთვე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას ქვეყნის მასშტაბით. ქვეპროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიაობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვაბებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 11 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგია, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება–პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მომზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიებებისთვის. ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში; სპორტული წრეებისა და ჯგუფების რაოდენობის გაზრდას; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენას ქვეყნის მასშტაბით. შედეგი: ხელშეწყობილია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობის თანაბრად ხელმისაწვდომობა, ასევე შექმნილია თანაბარი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 05 01 03 | | | 2323.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება, კლუბების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. 2025 წელს დასრულდება 2024 წლის გარდამავალი პროექტები, მათ შორის: სოფ. თელეთში სპორტული დარბაზის მშენებლობა - 1,155,379 ლარი; სოფ. მუხრანთელეთში სტადიონის მოწყობა - 109,545 ლარი; 2025 წელს იგეგმება: სოფ. სართიჭალაში არსებული ფიტნეს დარბაზის | | |

| | |
|---|---|
| | ტრენაჟორებით მოწყობა - 330,000 ლარი; სოფ. ვახტანგისში სტადიონის (ტიპიური) მოწყობა - 210,582 ლარი; ქ. გარდაბანში, ქვემო კაპანახჩის დასახლებაში სტადიონის რეაბილიტაცია - 50,000 ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით განხორციელდება შემდეგი პროექტი: სოფ. მარტყოფში სტადიონის მოწყობა - 160,801 ლარი; |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 9, SDG 11 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა სპორტის სახეობაში. |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 05 01 04 | | | 120.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | . სპორტის ეროვნულ ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებლებისა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის თბილისელი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება; | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 11 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **კულტურული ღონისძიებების დაფინანსება** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 05 02 01 | | | 266.7 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | გარდაბნის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო და სახალხო დღესასწაულების ჩატარებას, როგორიცაა : აზერბაიჯანული სახალხო დღესასწაული ,,ბაირამობა"; ასირიული სახალხო დღესასწაული ,,ხაბ-ნისანი''; რელიგიური ,,აღდგომის'' დღესასწაული; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი; სახალხო დღესასწაული ,,გარდაბნობა''; საახალწლო ღონისძიება; "სპექტაკლის და ფილმების ჩვენება", "ქალთა დღეები", "საინფორმაციო ტრენინგები ქალთა გაძლიერების მიზნით"; ქვეპროგრამის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური (განათლებისა და კულტურის განყოფილება) ვალდებულებას იღებს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება დატვირთული იყოს შინაარსობრივად მრავალფეროვანი, სანახაობრივად საინტერესო და კულტურული ღირებულებების მქონე მთელი რიგი ღონისძიებებით, რისთვისაც წლის დასაწყისში კეთდება გეგმა-გრაფიკი და ამ თანამიმდევრობით ხდება მათი განხორციელება. ღონისძიებები ერთმანეთისაგან შინაარსობრივად აბსოლუტურად განსხვავებულია. განათლებისა და კულტურის განყოფილება ცდილობს დანერგოს ინოვაციები, რათა ეს ღონისძიებები პასუხობდეს თანამედროვეობის მოთხოვნებს. ღონისძიებებში მონაწილეობენ, როგორც ადგილობრივი კოლექტივები, ასევე მოწვეული ანსამბლები, ქართული საესტრადო მომღერლები და ფოლკლორული ჯგუფები, ღონისძიებათა ჩასატარებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხა და ხდება მისი გეგმიური გადანაწილება წლის ბოლომდე. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 5, SDG 11 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა;<br>მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დაინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა.<br>სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის** | **ტელევიზიის დაფინანსება** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| 05 02 02 | **დასახელება** | 50.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური** | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება უზრუნველყოფს მერის/ მერიის სტრუქტურული ერთეულების საზოგადოებასთან და მედიასთან სტრატეგიულ და ეფექტურ კომუნიკაციას. ახორციელებს, როგორც მერის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, ასევე მუნიციპალიტეტის შესახებ ყოველკვირეულ და ფორსმაჟორულ სიტუაციებში ინფორმაციის მიღებას, მიმდინარე სიახლეების, სამომავლო პროექტების დამუშავებასა და საზოგადოებისათვის გაცნობა; | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 16 | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | საზოგადოებასთან და მედიასთან სტრატეგიულ და ეფექტურ კომუნიკაციის საშუალებით სამიზნე აუდიტორიის რაოდენობის გაზრდა და პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა. | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|
| 05 02 03 | **სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა** | 448.5 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ცენტრი** | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | სამუსიკო სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგებისა და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების საფუძველზე. სამუსიკო სკოლაში ხორციელდება დაწყებითი საფორტეპიანო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამა. სამუსიკო სკოლაში მომდევნო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამის მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმების საფუძველზე. სამუსიკო სკოლაში სწავლის უფლებით სარგებლობენ გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეები. სამუსიკო სკოლაში მიღება თავისუფალია მოზარდთათვის 6 წლის ასაკიდან. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში სწავლის მსურველთა რაოდენობა აღემატება მისაღებ კონტინგენტს, სკოლაში ტარდება შესარჩევი კონკურსი შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ცალკეულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, დასაშვებია უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ჩარიცხვა შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. სამუსიკო სკოლაში მისაღებ კონტინგენტს განსაზღვრავს დამკვეთი. | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 4, SDG 11 | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | სამუსიკო სკოლის მიზნებია: ა) მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება; სწავლების ხანგრძლივობა 6 წელი; ბ) შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი პირობები პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის. სამუსიკო სკოლის ამოცანებია: ა) აზიაროს მოსწავლეები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს; ბ) გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები; გ) კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები; დ) იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებასა და აქტიური და ინტელექტუალური მსმენელის აღზრდაზე. მუსიკალური განათლება მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და სამუსიკო სკოლაში კარგი პიროვნებისა და მოქალაქის აღზრდისთვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას. ეროვნული სასწავლო გეგმა არის მთავარი ინსტრუმენტი განათლების რეფორმის მიზნების მისაღწევად. დოკუმენტი განსაზღვრავს სავალდებულო მოთხოვნებს სასკოლო საზოგადოებისადმი სამი მიმართულებით. | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|
| 05 02 04 | **ბიბლიოთეკების ხელშეწყობა** | 362.1 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება** | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბიბლიოთეკების დეპარტამენტთან არსებული გარდაბნის, ნორიოს, მარტყოფის, საცხენისის და გამარჯვების ბიბლიოთეკები.<br>ბიბლიოთეკების დეპარტამენტის ყოველდღიურად ემსახურება სხვადასხვა ასაკის მკითხველს და ეხმარება ენციკლოპედიების, ლექსიკონების და სხვადასხვა ლიტერატურისა და ინფორმაციის მოძიებაში. ბიბლიოთეკების საერთო წიგნადი ფონდი 66 000 წიგნს შეადგენს, რომელიც ყოველწლიურად ახლდება ახალი ლიტერატურით. ბიბლიოთეკის დეპარტამენტის მუშაობს საკატალოგო ბარათების აღწერა-განახლებაზე; პარალელურად იწარმოება ხმარებისათვის გამოუსადეგარი, გაცვეთილ და მოძველებული წიგნების ჩამოწერა. წიგნადი ფონდი სუფთავდება პოლიტიკურად და დარგობრივად მოძველებული წიგნებისაგან. ეწყობა სანიტარულ-ჰიგიენური დღეები. ბიბლიოთეკის დეპარტამენტის აწარმოებს წიგნების უარების ჟურნალს, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ფონდში არ არსებული და მოთხოვნადი წიგნების შეძენა. იწარმოება დაგვიანებულ მკითხველთა სიები. | |

| | |
|---|---|
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 4, SDG 11 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ბიბლიოთეკების დეპარტამენტის მიზანია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა და მდიდარი წიგნადი ფონდით უზრუნველყოფა. ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია და მათი ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დევიზით „მეგობრები ყველგან გვყავს“. მკითხველთათვის წიგნების შერჩევა, ფართო სპექტრის მკითხველის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და წიგნის ხელმისაწვდომობა.<br>მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბიბლიოთეკები გამართული და შეუფერხებელი მუშაობა წლის განმავლობაში. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის მკითხველთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 05 02 05 | | | 1060.7 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ნორიოს (5 საშტ.ერთ.), მარტყოფის (8 საშტ.ერთ), ახალსოფლის,(4 საშტ.ერთ) სართიჭალის(8 საშტ.ერთ), გამარჯვების (5 საშტ.ერთ), ახალი სამგორისა (3 საშტ.ერთ) და ნაგების (2 საშტ.ერთ) ფილიალები და სათაო ცენტრი (42 შტატი) და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ბეთანია“ (16 საშტ.ერთ)<br>ცენტრი ხელმძღვანელობს შემოქმედებითი საღამოების, ინტელექტუალური და შემეცნებითი ხასათის ღონოსძიებების, ხსოვნის საღამოების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების განვლილი შემოქმედებითი ცხოვრებისადმი მიძღვნილი საღამოების, ქვეყნისათვის მნიშვნელვანი და გამორჩეული თარიღების აღსანიშნავი ღონისძიებების დაგეგმვასა და გამართვას. ასევე თეატრალური, საკონცერტო, სანახაობრივი, გასართობი, საინფორმაციო, საგამოფენო, ლიტერატურული, საწესჩვეულებო და ა.შ ღონისძიებების პროგრამების მომზადებასა და წარმოდგენას. გამოავლენს ხალხურ მთქმელს, ნიჭიერ იინდივიდუალურ შემსრულებლებსა და კოლექტივებს.<br>ხელმძღვანელობს ხალხური რეწვის (ხელოსნობა, ქარგვა, კერვა, თექა, გობელინი, და ა .შ) მივიწყებული დარგების აღორძინებას და პოპულარიზაციას.<br>ააიპ გარდაბნის მუნციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან ფუნქციონირებს უფასო სახელოვნებო წრეები , რომელშიც 300 მოზარდია გაწევრიანებული ესენია: საეკლესიო გალობის შემსწავლელი ორი წრე - (ქ.გარდაბანი და გამარჯვება),ხალხური რეწვის შემსწავლელი (ქ. გარდაბანი), ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი (სოფ. ლემშვენიერა), ქართული ხალხური ცეკვის შემსწავლელი (ახალსოფელი),ვოკალის შემსწავლელი (სოფ. მარტყოფი), ფორტეპიანოს შემსწავლელი (სოფ. გამარჯვება), დასარტყამი ინსტრუმენტების შემსწავლელი (ქ.გარდაბანი),ხატვის შემსწავლელი ორი წრე (ქ,გარდაბანი და სართიჭალა,)ასურული ცეკვის შემსწავლელი , ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავთა შემსწავლელი წრე ( ახალსოფელი) - ტექსტილისა და ხატვის შემსწავლელი (ნორიო) , ოთხი თეატრალური წრე (ნორიო, გარდაბანი,კუმისი და სართიჭალა) და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზეგარდი“და „სვანთა“ .(ქ.გარდაბანი) | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 11 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი საღამოების, ინტელექტუალური და შემეცნებითი ხასათის ღონოსძიებების, ხსოვნის საღამოების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების განვლილი შემოქმედებითი ცხოვრებისადმი მიძღვნილი საღამოების, ქვეყნისათვის მნიშვნელვანი და გამორჩეული თარიღების აღსანიშნავი ღონისძიებების დაგეგმვა და გამართვა. ასევე თეატრალური, საკონცერტო, სანახაობრივი, გასართობი, საინფორმაციო, საგამოფენო, ლიტერატურული, საწესჩვეულებო და ა.შ ღონისძიებების პროგრამების მომზადება და წარმოდგენა. ხალხურ მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალურ შემსრულებლებსა და კოლექტივების გამოვლენა. ხალხური რეწვის მოვიწყებული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია.<br>ღონისძიებების გამართვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე , მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.<br>მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დეპარტამენტის ფილიალებისა და მასთან არსებული წრეების გამართული და შეუფერხებელი მუშაობა წლის განმავლობაში. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილება და მათი მონაწილეობა კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში, როგორც მუნიციპალიტეტში ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **მუზეუმების ხელშეწყობა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 05 02 06 | | | 320.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი** | | |
| | კლასიკური განმარტებით მუზეუმი არის დაწესებულება, რომელიც აგროვებს, დოკუმენტებით ამყარებს, იცავს, გამოფენს და ინტერპრეტაციას უკეთებს მატერიალური კულტურის ნიმუშებს და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას საზოგადოების მიერ სარგებლობისათვის.<br>დღევანდელი გადასახედიდან მუზეუმები შესაძლებლობას აძლევენ ადამიანებს, შეისწავლონ | | |

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის აღწერა** | კოლექციები სტიმულირებაზე დამყარებული სწავლისა და სიამოვნების მიღების მიზნით. მუზეუმი ხდება ადგილი სადაც უფრო ფართო კულტურული ცხოვრება იმკვიდრებს ადგილს. დემოკრატიზაცია და მისაწვდომობა რელობა ხდება და ცივილიზაცია ფართოდ არის წარმოდგენილი. მუზეუმებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კულტურის განვითარებასა და მისი აკადემიური გემოვნების ჩამოყალიბებაში, ისინი წარმოადგენენ მატერიალური, სულიერი, აგრეთვე საბუნებისმეტყველო ისტორიის მასალათა ძირითად საცავებს და ვალდებულნი არიან უზრუნველყონმათი აღრიცხვა, ექსპონირება და დაცვა. |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 11 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მუზეუმის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: სამუზეუმო ექსპონატების მოძიება, დაცვა, ექსპონირება, სამუზეუმო კოლექციების ოპტიმიზაცია-რესტავრაცია. გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის მიზანია ამ პროცესში სკოლის მოსწავლეების, ეთნიკური უმცირესობის და სხვა დაინტერესებული პირების ჩართვა. შედეგი: უზრინველყოფილია გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამართული ფუნქციონირება |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 05 02 07 | | | 295.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულების საქმიანობის მთავარი ფორმა წრეობრივი მუშაობაა. წრეები ძირითადად მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების ბაზაზე ფუნქციონირებს და რაც უფრო მეტ სკოლაში იქნება აღნიშნული წრეები , მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება მოსწავლეთა დაახლოებისა, ინტეგრირებული მეცადინეობების დაგეგმვისა და ჩატარებისა, ახალი იდეების გაჩენისა და განხორციელების შესაძლებლობისა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან ფუნქციონირებს 14 წრე, სადაც გაწევრიანებულია 368 მოსწავლე. წრეები გახსნილი გვაქვს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და ორი კულტურის სახლის ბაზებზე; აქედან:<br>სახელოვნებო წრე - 3, ხელმარჯვეთა - სართიჭალის N2 საჯ. სკოლაში; გიტარის შემსწავლელი - სართიჭალის N2 საჯ. სკოლაში; ვოკალის შემსწავლელი - ჯანდარის საჯ.სკოლაში. ხალხური საკრავებისა და სიმღერებისა და სახვითი ხელოვნების შემსწავლელი - ნორიოს კულტურის სახლში. სპორტული წრე - ჭადრაკის შემსწავლელი - ახალი სამგორის საჯ. სკოლაში, ნორჩ ნატურალისტთა -მუღანლოს საჯ.სკოლა. ეკო-კლუბი - მარტყოფის N2 საჯ.სკოლაში. საგანმანათლებლო-საგნობრივი წრე -7. აქედან: ქართული ენის შემსწავლელი 2 წრე - მუღანლოს და ქესალოს საჯ. სკოლებში; ასევე: მათემატიკის შემსწავლელი და შემოქმედ ბავშვთა და ხელოვნების შემსწავლელი წრეები- გარდაბნის N1 საჯ.სკოლაში; ისტორიის შემსწავლელი წრე - თელეთის საჯ. სკოლაში. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 4, SDG 11 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულების საქმიანობის მიზანია:<br>თავისი მუშაობის პრინციპითა და სპეციფიკით ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის არაფორმალურ განათლებას, რომელიც ოფიციალური სასწავლო პროგრამის ნაწილია. დეპარტამენტში არსებულ წრეებსა და ეკო კლუბში სწავლება მიზნად ისახავს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარება-ჩამოყალიბებას არაფორმალურ გარემოში, სადაც მოსწავლეებს აქვთ მოტივაცია იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით, რაც ქმნის იმის მყარ საფუძველს, რომ ზრდასრულობაში, არაფორმალური განათლებით მიღებული ცოდნა, გამოადგებათ სხვადასხვა და ყველანაირ სიტუაციაში.<br>რადგანაც არაფორმალური განათლება, წრეებისა და კლუბების არსებობა, აუცილებელი კომპონენტია სკოლის განვითარებისათვის, მოსწავლეთა მოტივაციისათვის და უკეთესი შედეგებისათვის გთხოვთ, მოგვცეთ უფლება ეტაპობრივად ავითვისოთ მუნიციპალიტეტის ყველა ის სკოლა, სადაც არ ფუნქციონირებს წრეები. ეს სკოლებია: კუმისის, კრწანისის, ლემშვანიერის, ყარაჯალარის, ვაზიანის №1, №2, აქთაკლიის, ვახტანგისის, საცხენისის, ახალსოფლის, კარათაკლიის, სართიჭალის №1, №3, მარტყოფის №2, გარდაბნის №3, №4. აღნიშნულ სკოლებში შესაძლებელია ისეთი ახალი და ინოვაციური წრეებისა და კლუბების გახსნა, როგორებიცაა: ეთნოგრაფია და ფოლკლორის, ქორეოგრაფიული, სამოქალაქო კლუბი, ფიზიკისა და ასტრონომიის, ლიტერატურული კლუბი, ჟურნალისტთა, ქიმიის შემსწავლელი , უცხო ენის შემსწავლელი, ქართული ენის შემსწავლელი, ციფრული ტექნოლოგიების შემსწავლელი. ქართული ენის შემსწავლელი წრისა და ციფრული ტექნოლოგიების შემსწავლელი წრის გახსნა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის ბაზაზე. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 05 02 08 | | | 241.2 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მეგობრობის ცენტრი** | | |
| | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების, რელიგიისა და კულტურის მქონე მოქალაქეთა დაახლოება-დამეგობრებას. მეგობრობის ცენტრში | | |

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის აღწერა** | დაგეგმილი ღონისძიებები ემსახურება ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის, სოციალური ფენის თითოეული წარმომადგენლის მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას და მათ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებში. |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 11 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მეგობრობის ცენტრის მოღვაწეობის ძირითადი შედეგი ემსახურება რეგიონალური განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმის ძირითად მიზანს - საქართველოს რესპუბლიკის ერთიან, ძლიერ, მაღალი თვითშეგნების მქონე სამოქალაქო სექტორით დაკომპლექტებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და განვითარებას. |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **ახალგაზრდობის მხარდაჭერა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 05 03 01 | | | 81.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდებისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ.<br>პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შეძენას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას; გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიული სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით, უზრუნველყოფს მის დანერგვასა და პოპულარაზაციას. სამსახური ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებსა და ახორციელებს მათ დაჯილდოვებას, უზრუნველყოფს მათ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. აუცილებელია ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა ,სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის სპეციფიკური საჭიროებები, ინტერესები და შესაბამისი მიდგომები რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. სამსახურის მიზანია ახალგაზრდებს მიეცეთ ერთიან სივრცეში ერთობლივი აქტივობებისა და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ახალგაზრდული პროექტები : „საგანძურის ძიება“; ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი „ეტალონი“; „ახალგაზრდული ფესტივალი“; "შემოიარე საქართველო" | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 4, SDG 11 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა;<br>ახალგაზრდებისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება;<br>ახალგაზრდებისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის. | | |

“

ო) დანართის მეჩვიდმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 17 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **5,840.5**ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

**ათასი ლარი**

| **ორგ. კოდი** | **დასახელება** | **2025 წლის პროექტი** |
|---|---|---|
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **5840.5** |
| **06 01** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **701.5** |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 640.9 |
| 06 01 02 | ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | 60.6 |
| **06 02** | **სოციალური პროგრამები** | **5139.0** |
| 06 02 01 | ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა | 1295.0 |
| 06 02 02 | ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი | 56.0 |
| 06 02 03 | სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა | 111.0 |
| 06 02 04 | თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა | 428.0 |

| | | |
|---|---|---|
| 06 02 05 | ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა | 365.0 |
| 06 02 06 | მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა | 3.0 |
| 06 02 07 | დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა | 169.0 |
| 06 02 09 | დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა | 5.0 |
| 06 02 10 | უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა | 77.0 |
| 06 02 11 | ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა | 24.0 |
| 06 02 12 | უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა | 4.4 |
| 06 02 13 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამები | 87.0 |
| 06 02 14 | ბავშვთა პროგრამები | 185.6 |
| 06 02 15 | სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა | 101.0 |
| 06 02 16 | სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა | 418.5 |
| 06 02 17 | ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა | 350.0 |
| 06 02 18 | მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა | 90.0 |
| 06 02 19 | უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვის პროგრამები | 73.0 |
| 06 02 20 | სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების პროგრამა | 37.5 |
| 06 02 21 | მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა | 48.0 |
| 06 02 22 | სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა | 11.5 |
| 06 02 23 | ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა | 35.0 |
| 06 02 24 | სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა | 1059.5 |
| 06 02 26 | ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | 105.0 |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 01 01 | | | 640.9 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ა(ა)იპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა)გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, მათ შორის ცხოველთა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია; ბ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; დ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ პირთა მიერ ,,საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი; ვ)პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ზ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; ი) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. კ) ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების განხორციელების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში გარდაბნის ჯანდაცვის ცენტრი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი) 2. იმუნიზაცია. 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა. 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. 5. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან. 6. დაავადების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფების გამოვლენა და აღრიცხვა. რანდომიზებული კვლევის (თამბაქოს კონტროლი)განხორციელება მუნიციპალიტეტში ადგილობრივი კონტექსტის შესასწავლად. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 3 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა,გადამდები დაავადებების შემცირება, ეპიდსიტუაციის გაჯანსაღება, რაც საფუძველს უქმნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეპიდემიოლოგიურ უსაფრთხოებას და ჯანმრთელობის შენარჩუნება-განმტკიცებას. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის** | **ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|

საქართველო, გარდაბანი, 1300, დავით აღმაშენებლის ქუჩა #73 E-mail: gardabani.mun@gmail.com. Www.gardabani.gov.ge

| 06 02 01 | დასახელება | | 1295.0 |
|---|---|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | ქვეპროგრამა უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში იმ რეგისტრირებული მოსახლეობის, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსებას, რომლებიც არ იმყოფებიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ განიცდიან ეკონომიურ გასაჭირს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს „სამედიცინო და სოციალური დახმარების კომისიის“ გადაწყვეტილებით წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსებას, გარდა სტომატოლოგიური მომსახურებისა, მშობიარობისა, ესთეტიკური ქირურგიისა, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობისა, ლაზერული კორექციისა და არჩეული ექიმის ჰონორარისა (დავალიანების არსებობის შემთხვევაშიც) და მოქალაქის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევისა: 2500 (ორიათას ხუთასი) ლარის ფარგლებში; მედიკამენტების შეძენის შემთხვევაში: 500 (ხუთასი) ლარის, შშმ პირის შემთხვევაში 800 (რვაასი) ლარის ფარგლებში; რეაბილიტაციის შემთხვევაში არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევაში არაუმეტეს 1200 (ათას ორასი) ლარისა; თვალის ინექციის შემთხვევაში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1, SDG 3, | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ქვეპროგრამის მიზანია სამედიცინო მომსახურების მიღების ხელშეწყობით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. შედეგი-მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 02 | | | 56.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | ქვეპროგრამის ფარგლებში მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ მოქალაქეებს ეხმარება, ვისაც ესაჭიროება სოციალური რეაბილიტაცია. ქვეპროგრამა გენდერულად მნიშვნელოვანია და მისი განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1, SDG 3 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | წვლილის შეტანა გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო ცხოვრებისა და სიცოცხლის გაუმჯობესებაში. სამედიცინო კაბინეტი რომელიც აკმაყოფილებს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და ფუნქციონირებს პერსონალის, მოსახლეობისა და ბენეფიციარების თანამონაწილეობით. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 03 | | | 111.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს სასაჩუქრე ნობათების შეძენასა და პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის სადღესასწაულო დღეებში გადაცემას, კერძოდ: 1. 3 მარტს (დედის დღე) - მრავალშვილიან (4 და მეტი ბავშვი) ოჯახებს(120 000 ქულისჩათვლით); 2. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე - სოციალურად დაუცველ (65 000 ქულის ჩათვლით) მარტოხელა პენსიონერებს და მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს; 3. 9 მაისს - დიდი სამამულო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს; 4. 26 მაისს (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) - ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ შშმ ვეტერანებს; 5. 1 ივნისს (ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე): ა) შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებს (ეტლით მოსარგებლე, ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი, აუტიზმი, მხედველობადაქვეითებული); ბ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვებს; გ) ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბავშვები; დ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის ბენეფიციარებს; ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარებს. 6. სასწავლო წლის დაწყება სკოლებში:<br>ა) სოციალურად დაუცველი (120 000 ქულის ჩათვლით) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ სკოლის მოსწავლე (6-12 წლის ჩათვლით) შვილები; ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლის) ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე დაწყებითი საფეხურის (მე-6 კლასის ჩათვლით) მოსწავლეები; გ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები; დ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები; ე) დედ-მამით ობოლი ბავშვები (6-12 წლის ჩათვლით). 7. ახალ | | |

| | |
|---|---|
| | წელს: ა) სოციალურად დაუცველ ოჯახებს (5000 ქულის ჩათვლით); ბ) შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებს (ეტლს მიჯაჭვული, ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი, აუტიზმი, მხედველობა დაქვეითეული); გ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვებს; დ) ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბავშვებს; ე) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის ბენეფიციარებს; ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარებს. |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის სადღესასწაულო საჩუქრების გადაცემა . პროგრამაში მონაწილე მიზნობრივი ჯგუფების მორალური მხარდაჭერა. |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 04 | | | 428.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ა(ა)იპ თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | „თერაპიული ცენტრი“ მოქმედებს დღის ცენტრის სტანდარტებით. ცენტრის თითოეულ ბენეფიციარის სპეციალური ინსტრუმენტით შეფასების შემდეგ დგება ინდივიდუალური რეაბილიტაცია/აბილიტაციის გეგმა, რომელიც ეფუძნება ბავშვის შესაძლებლობებს და ინტერესს. ბენეფიციარები ჩართული არიან სხვადასხვა სახის თერაპიულ, შრომით და სოციალურ აქტივობებში, მათ შორის, საყოფაცხოვრებო და პროფესიულ. მონაწილეობენ სხვა და სხვა სახის საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. დღის ცენტრი ემსახურება ბენეფიციარებს ორჯერადი კვებით. ორგანიზებას უწევს ბენეფიციართა დღის ცენტრში მიყვანას და შინ დაბრუნებას. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1, SDG 3, SDG 10 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ცენტრის მიზანია ბავშვებისა და მოზარდებისთვის ღირსეული , ხალისიანი და მრავალფეროვანი ცხოვრების ხარისხის დონის გაზრდა, ფუნქციური უნარების განვითარება, დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაზრდა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიაების ცენტრში მოზიდვა , საზოგადოებაში ინტეგრირება, სტიგმისგან და გარიყვისგან დაცვა, გარემოსთან ადაპტაციაში ხელშეწყობა. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 05 | | | 365.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსული პირებისათვის, რომლებმაც ზრუნვის ორგანო დატოვეს არაუმეტეს 6 თვისა ვადისა, ფენილკეტონურიით/ცელიაკიით დაავადებულთათვის, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციართათვის , რომლებიც არ იმყოფებიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ განიცდიან ეკონომიურ გასაჭირს „სამედიცინო და სოციალური დახმარების კომისიის“ გადაწყვეტილებით წელიწადში ერთხელ (მერის გადაწყვეტილებით ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) მატერიალურ დახმარების გაცემას 300 (სამასი) ლარის ფარგლებში, სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსულ და ფენილკეტონურიით/ცელიაკიით დაავადებულ პირებზე 1000 (ათასი) ლარის ფარგლებში. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | ქვეპროგრამის მიზანია დახმარების საჭიროების მქონე ოჯახების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების, ფენილკეტონურიით/ცელიაკიით დაავადებული პირების და სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსული ბენეფიციარების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- მოსარგებლეთა მატერიალური დახმარებით დაკმაყოფილება. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 06 | | | 3.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან | | |

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის აღწერა** | დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას: გარდაცვლილი ვეტერანების სარიტუალო მომსახურება და იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება (100 000 ქულის ჩათვლით) - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; უპატრონო მიცვალებულების სარიტუალო მომსახურება 800 (რვაასი) ლარის ფარგლებში. |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბენეფიციარების და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა. შედეგი- გარდაცვლილი ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბენეფიციარების ოჯახის წევრების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო დახმარება. უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 07 | | | 169.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზზე დამოკიდებული სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1, SDG 3 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დიალიზის მომსახურების მიღების ხელშეწყობა. შედეგი- დიალიზის სახელმწიფო პროგრამის სერვისის ხელმისაწვდომობა. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 09 | | | 5.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი და „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას, კერძოდ, დედ-მამით ობოლ თითოეულ ბავშვზე, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, დახმარება გაიცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით წელიწადში ორჯერ (1 ივნისს და ახალ წელს). | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- დედ-მამით ობოლი ბავშვების მატერიალური უზრუნველყოფა. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 10 | | | 77.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ყოველთვიურ დახმარებას 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ფარგლებში:<br>ა) სოციალურად დაუცველი (75000 ქულა)უსახლკარო ოჯახები;<br>ბ) ხანძრის (ან სტიქიის) შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი გაჭირვებული ოჯახები;<br>გ)„ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბენეფიციარები. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია უსახლკაროდ დარჩენილი, დაზარალებული ოჯახების და „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბენეფიციარების ბინის ქირის დაფარვის მატერიალური დახმარება. შედეგი- უსახლკაროდ დარჩენილი, ხანძრის/სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბენეფიციარების ბინის ქირით უზრუნველყოფა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 11 | | | 24.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარების გაცემას:<br>ა) დიდი სამამულო ომის მონაწილეებზე - 1000 (ათასი) ლარის და მათთან გათანაბრებულ პირებზე 500(ხუთასი) ლარის ოდენობით - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით;<br>ბ)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის შშმ ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებზე (მშობელი, შვილი, ქორწინებაში მყოფი მეუღლე) 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით - 17 ოქტომბერს ვეტერანთა დღის აღსანიშნავად;<br>გ) სოციალურად დაუცველ (1000-დან 65 000 ქულის ჩათვლით) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე წელიწადში ერთხელ 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;<br>დ) სოციალურად დაუცველ (65 001-დან 100 000 ქულის ჩათვლით) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე წელიწადში ერთხელ 300 (სამასი) ლარის ოდენობით. | | |
| კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) | SDG 1 | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური დახმარება. შედეგი-ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 12 | | | 4.4 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალურ დახმარებას: ა) 1 ოქტომბერს - უხუცესთა საერთაშორისო დღის ღონისძიებასთან დაკავშირებით 400 (ოთხასი)ლარის ოდენობით; ბ) 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით. | | |
| კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) | SDG 1 | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალური უზრუნველყოფა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამები | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 13 | | | 87.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | **პროგრამა ახორციელებს 2 ქვეპროგრამას:** 1. **დანართი 10 -შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა (ბიუჯეტი-87000 ლარი)** პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარების სოციალურ დახმარებას. შშს მქონე ბავშვების (18წლამდე) მატერიალურ დახმარებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით: ა) შშსმ ბავშვები (დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა) - 21 მარტი; ბ) შშსმ ბავშვები (აუტიზმი) - 2 აპრილი; გ) შშსმ ბავშვები (ლეიკემია, ეტლით მოსარგებლე, მხედველობა, მეტყველება და სმენადაქვეითებული) და „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბენეფიციარი - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (18წლამდე ) - 1 ივნისი. დ) შეზღული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (დიაბეტი) – 14 ნოემბერი.<br>პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ (3 დეკემბერი) შშმ პირების (18 წლის ზემოთ) მატერიალურ დახმარებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით:<br>ა) შშმ პირი (ეტლით მოსარგებლე , მხედველობა და მეტყველება შეზღუდული, სმენადაქვეითებული);<br>ბ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბენეფიციარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელი. **2. დანართი 25-პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა (ბიუჯეტი-ტრანსფერის თანხა)**პროგრამა ითვალისწინებს პერსონალური ასისტირების საშუალებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობას. პროგრამის მოსარგებლეები არიან: გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წლის და მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, | | |

| | |
|---|---|
| | რომელთაც, სამედიცინო დაწესებულების შეფასებით, ესაჭიროებათ პერსონალური ასისტენტის მომსახურება. |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბენეფიციარების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარის მატერიალური უზრუნველყოფა. ასისტენტის პროგრამის მიზანია პერსონალური ასისტირების საშუალებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა. შედეგი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფუნქციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაზრდილია მათი საკუთარ თავზე კონტროლი და ცხოვრების დამოუკიდებლობის ხარისხი. ჩართული არიან მათთვის საინტერესო სოციალურ, სასწავლო, უნარების განვითარების, შემოსავლის მომტან ან/და სხვა აქტივობებში. |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **ბავშვთა პროგრამები** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 14 | | | 185.6 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ახორციელებს **2 ქვეპროგრამას:** 1) **დანართი 11 -„სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების დახმარების პროგრამა" . ბიუჯეტი -10 000(ათი ათასი**) ლარი. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების დახმარებას ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით. 2) **დანართი 23 - „ბავშვთა ადრეული და თერაპიული ინტერვენციის პროგრამა ". ბიუჯეტი -165000** ლარი. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ არასრულწლოვანთა, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის" ბენეფიციართა (18 წლამდე) ადრეული და თერაპიული ინტერვენციის მომსახურების დაფინანსებას (120 განცხადება) წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ):<br>ა) სოციალურად დაუცველ ბავშვებში (1000 დან - 150 000 ქულის ჩათვლით) – 1500 (ათას ხუთასი) ლარის ფარგლებში;<br>ბ) სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში არ მყოფ ბავშვებში - 1200 (ათას ორასი) ლარის ფარგლებში. 6. მომსახურების დაფინანსება მოიცავს:<br>ა) „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის" მომლოდინეთა რეესტრში მყოფი ბავშვებისათვის - თვეში მაქსიმუმ 12 ვიზიტს;<br>ბ) ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის" მომლოდინეთა რეესტრში მყოფი ბავშვებისათვის - თვეში მაქსიმუმ 20 სეანსს (მომსახურებების მთლიანი ჯამი);<br>გ) არასრულწლოვნებისათვის, რომელთაც უარი ეთქვათ ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობაზე, მაგრამ საჭიროებენ სხვა სახის ინტერვენციებს - თვეში 16 სეანსს. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | **1) დანართი 11** -პროგრამის მიზანია სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების მატერიალური მხარდაჭერა, ოჯახური გარემოს შენარჩუნებისათვის. შედეგი- ბავშვების ოჯახურ გარემოში შენარჩუნება. **2) დანართი 23 -** პროგრამის მიზანია ბავშვთა შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, ფიზიკური და ინტელექტუალური ფუნქციური პოტენციალის ამაღლება, ზოგადი ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინკლუზიური განვითარების პროცესის მხარდაჭერა, სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლობლო პროგრამებში ინტეგრაციის და სოციალიზაციის ხელშეწყობა. შედეგი- ბავშვთა შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარება. ამაღლებული ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალი. სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლობლო პროგრამებში ჩართვა. გაუმჯობესებული ცხოვრების ხარისხი და სოციალური ინტეგრაცია. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 15 | | | 101.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 25 წლამდე აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების დაფინანსებას, რომლებიც:<br>**ა)** სწავლობენ საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურზე, არიან დედ-მამით ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი) ან/და სოციალურად დაუცველი (100 000 ქულის ჩათვლით) ოჯახებიდან, სასწავლო პროცესში თვეში -100 ლარის ოდენობით **(ბიუჯეტი- 64500 ლარი)**; **ბ)** სწავლობენ საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურზე და აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება (მთლიანი სარეიტინგო 90 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით) სემესტრული დაფინანსება - 500 ლარის ფარგლებში, შშმპ შემთხვევაში - 700 ლარის ფარგლებში (ბიუჯეტი **35 000 ლარი**, სულ -70 სემესტრული განცხადება). **გ)** სწავლობენ სოციალური მუშაობის ან ოკუპაციური | | |

| | |
|---|---|
| | თერაპიის საბაკალავრო საგანმანათლებლო საფეხურზე და აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება (წინა სემესტრის 90 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით)-სწავლის სემესტრული თანხის სრულ დაფინანსებას 1125 (ათას ასოცდახუთი) ლარის ოდენობით; პროგრამა ითვალისწინებს წლის მანძილზე პირველი 12 (თორმეტი) განცხადების თანხის დაფარვას (ბიუჯეტი -**13500** ლარი) |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია წარჩინებული, დედ-მამით ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტუდენტების უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა და მოტივაციის ამაღლება. შედეგი - დედ-მამით ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტუდენტების უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა. წარჩინებული სტუდენტების მოტივაცია. |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 16 | | | 418.5 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირების და „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსებას (გარდა სტომატოლოგიური მომსახურებისა, ესთეტიკური ქირურგიისა, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობისა, ლაზერული კორექციისა და არჩეული ექიმის ჰონორარისა (დავალიანების არსებობის შემთხვევაშიც) და მოქალაქის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევისა, თუ:<br>ა) მომსახურება არ ფინანსდება კერძო დაზღვევით ან/და საყოველთაო ჯანდაცვის და სხვა სახელმწიფო პროგრამით დახმარება მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვრება:<br>ა.ა. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 100%-ით (1000 დან -70 000 ქულის ჩათვლით);<br>ა.ბ. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 80%-ით (70 001 დან -150 000 ქულის ჩათვლით).<br>ბ) მომსახურება ნაწილობრივ ფინანსდება კერძო დაზღვევით ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამით, თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვრება:<br>ბ.ა. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 100%-ით (1000 დან -70 000 ქულის ჩათვლით);<br>ბ.ბ. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით (70 001 დან -150 000 ქულის ჩათვლით).<br>მომსახურება ფინანსდება:<br>ა) არაუმეტეს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარისა;<br>ბ) მედიკამენტების შეძენის შემთხვევაში არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა და შშმ პირის შემთხვევაში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა; გ) რეაბილიტაციის შემთხვევაში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევაში არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა;<br>დ) თვალის ინექციის შემთხვევაში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1, SDG 3 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია სამედიცინო მომსახურების მიღების ხელშეწყობით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. შედეგი- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 17 | | | 350.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა (სამედიცინო კლასიფიკატორის კოდი - C, D00-დან D09-ის ჩათვლით), დაფინანსებას:<br>ა) ონკოლოგიური დიაგნოსტიკის დაფინანსებას არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა;<br>ბ) საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას არაუმეტეს 4000 (ოთხი ათასი) ლარისა (კერძო დაზღვევის ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით):<br>ბ.ა. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი ღირებულების 80%-ით;<br>ბ.ბ. სოციალურად დაუცველი (150 000 ქულის ჩათვლით) ბენეფიციარის მიერ გადასახდელი ღირებულების 100%-ით.<br>გ) მედიკამენტების დაფინანსებას (კერძო დაზღვევის ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით): | | |

| | |
|---|---|
| | გ.ა. გადასახდელი ღირებულების 80%-ით;<br>გ.ბ. სოციალურად დაუცველი (150 000 ქულის ჩათვლით) ბენეფიციარის მიერ გადასახდელი ღირებულების 100%-ით.<br>გ.გ. დაფინანსება არ აღემატება ონკოლოგიური მედიკამენტების შემთხვევაში 4000 (ოთხი ათასი) ლარს და არაონკოლოგიური მედიკამენტების შემთხვევაში 800 (რვაასი) ლარს. |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1, SDG 3 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია სამედიცინო მომსახურების მიღების ხელშეწყობით ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება. შედეგი- ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება/შენარჩუნება. |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 18 | | | 90.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ მატერიალური დახმარების გაწევას გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიან ოჯახებზე. პროგრამით მოსარგებლეები არიან: ა) სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს; ბ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი. მატერიალური დახმარება თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე გაიცემა 100 (ასი) ლარის ოდენობით. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება. შედეგი- მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფა. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვის პროგრამები** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 19 | | | 73.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | **პროგრამა ახორციელებს 2 ქვეპროგრამას:** 1) **დანართი 16** -„სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა“. ბიუჯეტი-**15 000 ლარი**. იგი ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ მატერიალურ დახმარებას სოციალურად დაუცველ მარტოხელა პენსიონერებზე: ა) 1000-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის შემთხვევაში - 300 (სამასი) ლარის ოდენობით; ბ) 65 001-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის შემთხვევაში - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. **2) დანართი 24 - ბიუჯეტი-75000 ლარი.** „უფროსი თაობის სოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის“ მოსარგებლეები -გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალიზაციის ხელშეწყობის საჭიროების მქონე უფროსი თაობის (60+) ადამიანები (არაუმეტეს 30 პირისა). პროგრამის ამოცანაა 1. უფროსი თაობის ადამიანების ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის მომსახურების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა (ჯანმრთელობა, საცხოვრისი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჰიგიენა). 2. უფროსი თაობის ადამიანების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. 3. უფროსი თაობის ადამიანების სოციალური ინტეგრაცია. 4. უფროსი თაობის ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. პროგრამაში ჩართვისათვის აუცილებელია მოსარგებლე (60 წლის და მეტი ასაკის) აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ კრიტერიუმს: • აქვს სოციალიზაციის აქტივობებში ჩართვის დაბალი ხელმისაწვდომობა • აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი (150 000 ქულამდე) • ცხოვრობს მარტო. მომსახურების მიმწოდებელი გახდება იურიდიული პირი, რომელიც დააკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | **1) დანართი 16** -პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების მატერიალური დახმარება. შედეგი- სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების მატერიალური უზრუნველყოფა. **2) დანართი 24 -**პროგრამის მიზანია- უფროსი თაობის ადამიანების სოციალური უფლებების რეალიზების ხელშეწყობა. შედეგი- 1. გაზრდილია ხელმისაწვდომობა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ მიმართულ ცენტრალურ და ადგილობრივ პროგრამებზე.<br>2. პროგრამით მოსარგებლეებში გაუმჯობესებულია ფსიქო-ემოციური მდგომარეობა.<br>3. გაზრდილია საზოგადოების და თავად უფროსი თაობის ადამიანების მიერ საკუთარი როლისა და მნიშვნელოვნების განცდა, აქვთ საკუთარი უფლებების დაცვისთვის საჭირო ცოდნა და უნარები (ძალადობა, სოციალიზაცია, ქონების და პენსიის განკარგვა, მონაწილეობა/ჩართულობა და ა.შ.). | | |

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ, 1300, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ #73 E-mail:
gardabani.mun@gmail.com. Www.gardabani.gov.ge

| | |
|---|---|
| | 4. უფროსი თაობის ადამიანები ჩართულები არიან მათთვის საინტერესო სასწავლო, სოციალურ-კულტურულ და შემოსავლის მომტან აქტივობებში. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 20 | | | 37.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების მატერიალურ დახმარებას:<br>ა) 1 000 ქულიდან 65 000 ქულის ჩათვლით - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;<br>ბ) 65 001 ქულიდან 100 000 ქულის ჩათვლით - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. | | |
| კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) | SDG 1 | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანი სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 21 | | | 48.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმარების გაცემას:<br>ა) სოციალურად დაუცველ მარტოხელა მშობელზე, რომლის სარეიტინგო ქულაა 1000-დან 120 000 ქულის ჩათვლით - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;<br>ბ) მარტოხელა მშობელზე, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში - 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. | | |
| კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) | SDG 1 | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია მარტოხელა მშობლების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- მარტოხელა მშობლების მატერიალური უზრუნველყოფა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 22 | | | 11.5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ჩვილი ბავშვებისათვის(ერთ წლამდე), რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-სს, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების ბავშვთა კვებით უზრუნველყოფისათვის დახმარებას თვეში 150 (ასორმოცდაათი) ლარის ფარგლებში. | | |
| კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) | SDG 1 | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფისათვის მატერიალური დახმარება. შედეგი-სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფა. | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 06 02 23 | | | 35.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით (იანვარი, თებერვალი, ნოემბერი, დეკემბერი) გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსურ დახმარებას, თვეში 50 ლარის ოდენობით. პროგრამით მოსარგებლეები არიან: ა) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 5 000 -სს; ბ) დედ-მამით ობოლი (18 წლამდე) ბავშვების ოჯახები; გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის (დაუნის სინდრომი, | | |

| | |
|---|---|
| | ცერებრალური დამბლა, ეტლს მიჯაჭვული, მხედველობა შეზღუდული) (18 წლამდე) ასაკის ბავშვების ოჯახები; დ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანები (კოდი-311, 312, 313); ე) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები; ვ)„ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები. ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მხედველობადაქვეითებული - მკვეთრად გამოხატული);თ) სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერები (100 000 ქულის ჩათვლით). |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია ზამთრის პერიოდში პროგრამით მოსარგებლეთა გათბობისათვის მატერიალური დახმარება. შედეგი- პროგრამით მოსარგებლე ოჯახების ზამთრის სეზონზე გათბობით უზრუნველყოფა. |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 24 | | | 1059.5 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების სოციალური დახმარების გაცემას ერთჯერადად სარეიტინგო ქულის მიხედვით:<br>ა) 1 000 ქულიდან 65 000 ქულის ჩათვლით - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;<br>ბ) 65 001 ქულიდან 100 000 ქულის ჩათვლით - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა. | | |

| **კოდი** | **ქვეპროგრამის დასახელება** | **ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა** | **2025 წლის დაფინანსება ათას ლარში** |
|---|---|---|---|
| 06 02 26 | | | 105.0 |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| **ქვეპროგრამის აღწერა** | პროგრამის მთავარი ამოცანაა იმ ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერა, რომლებიც ცხოვრობენ მძიმე სოციალურ გარემოსა და პირობებში, აქვთ ან ემუქრებათ ძალადობის, ქუჩაში დარჩენის/მუშაობის, ადრეული ქორწინების, კანონთან კონფლიქტში, ბულინგის, ოჯახში უგულვებელყოფის, ჯანმრთელობის დაზიანების, განათლების მიღმა დარჩენის, მავნე ზეგავლენისა და სხვა სახის საფრთხე. პროგრამით მოსარგებლეები არიან არასრულწლოვანთა ოჯახები. პროგრამის ღონისძიებებია: 1) მატერიალური დახმარება **(ბიუჯეტი-50 000 ლარი);** 2) ფსიქოლოგისა და პოზიტიური მშობლობის სერვისის მიწოდება. შეხვედრების რაოდენობა განისაზღვრება საჭიროებიდან გამომდინარე, თითოეულ ბენეფიციარზე არაუმეტეს 10 შეხვედრისა. თითოეულ ბენეფიციარზე დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს. (ბიუჯეტი-**6 000 ლარი**) 3) ავეჯისა (ბიუჯეტი-**11 000 ლარი**)და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა (**ბიუჯეტი-5 000 ლარი**); 4) ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები (**ბიუჯეტი-3 000 ლარი)**. ღონისძიებები ითვალისწინებს შესყიდვებს პროგრამით და ხელშეკრულებით გაწერილი პირობებით. | | |
| **კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG)** | SDG 1 | | |
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | **პროგრამის მიზანია:** 1. სოციალურ მუშაობაზე დაყრდნობით გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისა და მათი ოჯახების უფლებების დაცვა /მხარდაჭერა.<br>2. ბავშვების ზიანის რისკების აღმოფხვრა ან აცილება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ან შეიძლება შეუქმნან მათ სრულფასოვან განვითარებას და კეთილდღეობას.<br>3. პრევენციული ღონისძიებების გატარება.<br>4. მატერიალური და არამატერიალური დახმარების გზით ოჯახების გაძლიერება.<br>**შედეგი:** 1. ჩატარებულია სოციალური მუშაობა ყველა შემთხვევაზე.<br>2. ინტერდისციპლინური შეფასებით იდენტიფიცირებულია ზიანის რისკები და განსაზღვრულია საჭიროებები.<br>3. მაღალი რისკების შემთხვევებში განხორციელებულია დროული რეფერირება.<br>4. განხორციელებულია პრევენციული ღონისძიებები.<br>5. დაკმაყოფილებულია მხარდაჭერის გეგმით გათვალისწინებული მოსარგებლეთა საჭიროებები.<br>6. გაუმჯობესებულია ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა მოსარგებლეებში.<br>7. ფსიქოლოგის და პოზიტიური მშობლობის სერვისით მოსარგებლეებში მიღებულია სასურველი შედეგი.<br>8. მოსარგებლეებზე მიწოდებულია ავეჯი და აუცილებელი საოჯახო ტექნიკა.<br>9. გაზრდილია ცნობიერება მოსახლეობაში ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ. | | |

საქართველო, გარდაბანი, 1300, დავით აღმაშენებლის ქუჩა #73 E-mail: gardabani.mun@gmail.com. Www.gardabani.gov.ge

“

პ) დანართის მეთვრამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 18 ბიუჯეტის ასიგნებები**

ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

| ორგ. კოდი | დასახელება | 2023 წლის ფაქტი | | | 2024 წლის გეგმა | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | **გარდაბნის მუნიციპალიტეტი** | **54450.7** | **7999.7** | **46451.0** | **72388.0** | **15643.2** | **56744.8** | **78258.4** | **18947.3** | **59311.1** |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **220.0** | **0.0** | **220.0** | **236.0** | **0.0** | **236.0** | **236.0** | **0.0** | **236.0** |
| | **ხარჯები** | **36908.2** | **1237.0** | **35671.3** | **43395.7** | **976.1** | **42419.6** | **47970.1** | **1108.4** | **46861.7** |
| | **შრომის ანაზღაურება** | **6368.9** | **0.0** | **6368.9** | **7395.0** | **0.0** | **7395.0** | **8134.5** | **0.0** | **8134.5** |
| | საქონელი და მომსახურება | 7147.1 | 958.6 | 6188.5 | 8056.7 | 668.2 | 7388.5 | 8424.3 | 747.5 | 7676.8 |
| | პროცენტი | 1212.2 | 0.0 | 1212.2 | 14.0 | 0.0 | 14.0 | 110.5 | 0.0 | 110.5 |
| | სუბსიდიები | 17240.1 | 277.9 | 16962.2 | 20970.1 | 307.9 | 20662.2 | 25651.0 | 340.9 | 25310.1 |
| | გრანტები | 736.7 | 0.0 | 736.7 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 3687.7 | 0.5 | 3687.2 | 4523.3 | 0.0 | 4523.3 | 4793.5 | 20.0 | 4773.5 |
| | სხვა ხარჯები | 515.6 | 0.0 | 515.6 | 2381.6 | 0.0 | 2381.6 | 801.3 | 0.0 | 801.3 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **17222.2** | **6762.8** | **10459.4** | **28934.0** | **14667.1** | **14266.9** | **29533.6** | **17838.8** | **11694.8** |
| | **ვალდებულებების კლება** | **320.3** | **0.0** | **320.3** | **58.3** | **0.0** | **58.3** | **754.7** | **0.0** | **754.7** |
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **12036.5** | **28.5** | **12007.9** | **12477.3** | **0.0** | **12477.3** | **14261.1** | **0.0** | **14261.1** |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **220.0** | **0.0** | **220.0** | **236.0** | **0.0** | **236.0** | **236.0** | **0.0** | **236.0** |
| | **ხარჯები** | **11409.9** | **28.5** | **11381.4** | **12369.0** | **0.0** | **12369.0** | **13406.5** | **0.0** | **13406.5** |
| | **შრომის ანაზღაურება** | **6368.9** | **0.0** | **6368.9** | **7395.0** | **0.0** | **7395.0** | **8134.5** | **0.0** | **8134.5** |
| | საქონელი და მომსახურება | 3293.8 | 28.5 | 3265.3 | 4032.8 | 0.0 | 4032.8 | 4349.9 | 0.0 | 4349.9 |
| | პროცენ | 1212.2 | 0.0 | 1212.2 | 14.0 | 0.0 | 14.0 | 110.5 | 0.0 | 110.5 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტი | | | | | | | | | |
| | გრანტები | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 107.2 | 0.0 | 107.2 | 185.0 | 0.0 | 185.0 | 203.5 | 0.0 | 203.5 |
| | სხვა ხარჯები | 372.8 | 0.0 | 372.8 | 687.2 | 0.0 | 687.2 | 553.1 | 0.0 | 553.1 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **306.3** | **0.0** | **306.3** | **50.0** | **0.0** | **50.0** | **100.0** | **0.0** | **100.0** |
| | **ვალდებულებების კლება** | **320.3** | **0.0** | **320.3** | **58.3** | **0.0** | **58.3** | **754.7** | **0.0** | **754.7** |
| **01 01** | **საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა** | **10250.3** | **28.5** | **10221.7** | **11865.0** | **0.0** | **11865.0** | **13016.0** | **0.0** | **13016.0** |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **220.0** | **0.0** | **220.0** | **236.0** | **0.0** | **236.0** | **236.0** | **0.0** | **236.0** |
| | **ხარჯები** | **9944.0** | **28.5** | **9915.5** | **11815.0** | **0.0** | **11815.0** | **12916.0** | **0.0** | **12916.0** |
| | **შრომის ანაზღაურება** | **6368.9** | **0.0** | **6368.9** | **7395.0** | **0.0** | **7395.0** | **8134.5** | **0.0** | **8134.5** |
| | საქონელი და მომსახურება | 3293.2 | 28.5 | 3264.6 | 4020.0 | 0.0 | 4020.0 | 4343.0 | 0.0 | 4343.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 107.2 | 0.0 | 107.2 | 185.0 | 0.0 | 185.0 | 203.5 | 0.0 | 203.5 |
| | სხვა ხარჯები | 174.8 | 0.0 | 174.8 | 215.0 | 0.0 | 215.0 | 235.0 | 0.0 | 235.0 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **306.3** | **0.0** | **306.3** | **50.0** | **0.0** | **50.0** | **100.0** | **0.0** | **100.0** |
| **01 01 01** | **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო** | **2053.0** | **0.0** | **2053.0** | **2475.0** | **0.0** | **2475.0** | **2638.5** | **0.0** | **2638.5** |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | **20.0** | **0.0** | **20.0** | **24.0** | **0.0** | **24.0** | **24.0** | **0.0** | **24.0** |
| | **ხარჯები** | **2053.0** | **0.0** | **2053.0** | **2475.0** | **0.0** | **2475.0** | **2638.5** | **0.0** | **2638.5** |
| | **შრომის ანაზღაურება** | **1250.4** | **0.0** | **1250.4** | **1420.0** | **0.0** | **1420.0** | **1562.0** | **0.0** | **1562.0** |
| | საქონელი და მომსახურება | 616.8 | 0.0 | 616.8 | 825.0 | 0.0 | 825.0 | 825.0 | 0.0 | 825.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 36.4 | 0.0 | 36.4 | 65.0 | 0.0 | 65.0 | 71.5 | 0.0 | 71.5 |
| | სხვა ხარჯები | 149.4 | 0.0 | 149.4 | 165.0 | 0.0 | 165.0 | 180.0 | 0.0 | 180.0 |
| **01 01 02** | **გარდაბნის მუნიციპ** | **7899.5** | **0.0** | **7899.5** | **9315.0** | **0.0** | **9315.0** | **10292.5** | **0.0** | **10292.5** |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ალიტეტის მერია | | | | | | | | | |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 191.0 | 0.0 | 191.0 | 212.0 | 0.0 | 212.0 | 212.0 | 0.0 | 212.0 |
| | ხარჯები | 7593.2 | 0.0 | 7593.2 | 9265.0 | 0.0 | 9265.0 | 10192.5 | 0.0 | 10192.5 |
| | შრომის ანაზღაურება | 4926.1 | 0.0 | 4926.1 | 5975.0 | 0.0 | 5975.0 | 6572.5 | 0.0 | 6572.5 |
| | საქონელი და მომსახურება | 2570.9 | 0.0 | 2570.9 | 3120.0 | 0.0 | 3120.0 | 3433.0 | 0.0 | 3433.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 70.8 | 0.0 | 70.8 | 120.0 | 0.0 | 120.0 | 132.0 | 0.0 | 132.0 |
| | სხვა ხარჯები | 25.4 | 0.0 | 25.4 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 306.3 | 0.0 | 306.3 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 253.7 | 28.5 | 225.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 9.0 | 0.0 | 9.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 253.7 | 28.5 | 225.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 192.3 | 0.0 | 192.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 61.4 | 28.5 | 32.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 01 04 | საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა | 44.1 | 0.0 | 44.1 | 75.0 | 0.0 | 75.0 | 85.0 | 0.0 | 85.0 |
| | ხარჯები | 44.1 | 0.0 | 44.1 | 75.0 | 0.0 | 75.0 | 85.0 | 0.0 | 85.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 44.1 | 0.0 | 44.1 | 75.0 | 0.0 | 75.0 | 85.0 | 0.0 | 85.0 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 1786.2 | 0.0 | 1786.2 | 612.3 | 0.0 | 612.3 | 1245.1 | 0.0 | 1245.1 |
| | ხარჯები | 1465.9 | 0.0 | 1465.9 | 554.0 | 0.0 | 554.0 | 490.5 | 0.0 | 490.5 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.7 | 0.0 | 0.7 | 12.8 | 0.0 | 12.8 | 6.9 | 0.0 | 6.9 |
| | პროცენტი | 1212.2 | 0.0 | 1212.2 | 14.0 | 0.0 | 14.0 | 110.5 | 0.0 | 110.5 |
| | გრანტები | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | სხვა ხარჯები | 198.0 | 0.0 | 198.0 | 472.2 | 0.0 | 472.2 | 318.1 | 0.0 | 318.1 |
| | ვალდებულებების კლება | 320.3 | 0.0 | 320.3 | 58.3 | 0.0 | 58.3 | 754.7 | 0.0 | 754.7 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 140.2 | 0.0 | 140.2 | 350.0 | 0.0 | 350.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | ხარჯები | 140.2 | 0.0 | 140.2 | 350.0 | 0.0 | 350.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | სხვა ხარჯები | 140.2 | 0.0 | 140.2 | 350.0 | 0.0 | 350.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| 01 02 02 | მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 1532.6 | 0.0 | 1532.6 | 72.3 | 0.0 | 72.3 | 865.1 | 0.0 | 865.1 |
| | ხარჯები | 1212.2 | 0.0 | 1212.2 | 14.0 | 0.0 | 14.0 | 110.5 | 0.0 | 110.5 |
| | პროცენტი | 1212.2 | 0.0 | 1212.2 | 14.0 | 0.0 | 14.0 | 110.5 | 0.0 | 110.5 |
| | ვალდებულებების კლება | 320.3 | 0.0 | 320.3 | 58.3 | 0.0 | 58.3 | 754.7 | 0.0 | 754.7 |
| 01 02 03 | სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები | 50.9 | 0.0 | 50.9 | 112.0 | 0.0 | 112.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | ხარჯები | 50.9 | 0.0 | 50.9 | 112.0 | 0.0 | 112.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | სხვა ხარჯები | 50.9 | 0.0 | 50.9 | 112.0 | 0.0 | 112.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 01 02 04 | ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | ხარჯები | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | გრანტები | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| 01 02 05 | სოციალური თანასწორობის ხელშეწყობა | 7.6 | 0.0 | 7.6 | 23.0 | 0.0 | 23.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | ხარჯები | 7.6 | 0.0 | 7.6 | 23.0 | 0.0 | 23.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.7 | 0.0 | 0.7 | 12.8 | 0.0 | 12.8 | 6.9 | 0.0 | 6.9 |
| | სხვა ხარჯები | 6.9 | 0.0 | 6.9 | 10.2 | 0.0 | 10.2 | 18.1 | 0.0 | 18.1 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 17706.0 | 6304.5 | 11401.5 | 26409.5 | 13277.1 | 13132.4 | 28289.7 | 16741.8 | 11547.9 |
| | ხარჯები | 4364.7 | 0.0 | 4364.7 | 5829.3 | 0.0 | 5829.3 | 4691.9 | 0.0 | 4691.9 |
| | საქონელი და მომსახურება | 2390.5 | 0.0 | 2390.5 | 2775.0 | 0.0 | 2775.0 | 2760.0 | 0.0 | 2760.0 |
| | სუბსიდიები | 1276.5 | 0.0 | 1276.5 | 1551.5 | 0.0 | 1551.5 | 1906.9 | 0.0 | 1906.9 |
